



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების
ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების
კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა
ინსტიტუტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი

7-18 ივნისი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

30 ივნისი 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო

| | |
|---|--|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204429341 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | სამართლის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | სამართალი, 0421 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მაკა კარტოზია, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკატერინე ქარდავა, შპს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი; სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|--|--|
| უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

“აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “სამართლის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ” განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების (06.06.2022) შესაბამისად, ჩატარდა „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით შეფასება.

შეფასების პროცესი დაეფუძნა ცენტრის მიერ აკრედიტაციის ექსპერტებისადმი წარდგენილ დოკუმენტაციას.

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) მოიცავს 240 ECTS კრედიტს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 ECTS კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ▶ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 145 ECTS კრედიტი.
- ▶ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 39 ECTS კრედიტი.
- ▶ პრაქტიკის კომპონენტი - 5 ECTS კრედიტი შედის პრაქტიკა (არჩევითი კომპონენტი) შედის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დათმობილ 39 კრედიტში.
- ▶ თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 56 ECTS კრედიტი.

საგანების/კურსების დაჯგუფების სტრუქტურა შემდეგია:

- ▶ სავალდებულო ზოგადი საგნები - 27 კრედიტი;
- ▶ უცხო ენის კომპონენტი - 29 კრედიტი
- ▶ სპეციალობის სავალდებულო საგნები - 145 კრედიტი
- ▶ სპეციალობის სავალდებულო არჩევითი საგნები - 5 კრედიტი
- ▶ სპეციალობის არჩევითი საგნები - 34 კრედიტი.

სულ სავალდებულო საგნების ჯამი წარმოადგენს 201 კრედიტს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია 184 დარგობრივი კრედიტი.

პროგრამა აგებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს

კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი განზოგადოებული სწავლების შედეგების მე-6 დონის შესაბამისად.

პროგრამაში გათვალისწინებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნა - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 120 კრედიტისა.

პროგრამა ძირითადად შეესაბამება სამართლის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა წარმოდგენილია სწავლების კლასიფიკატორით განსაზღვრული სწავლის დეტალური სფეროს კოდით 0421.

პროგრამამ განიცადა ცვლილებები, კერძოდ:

- ▶ კურიკულუმს სავალდებულო კომპონენტად დაემატა საგანი „იურიდიული
- ▶ ეთიკა“;
- ▶ საგანი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ სტუდენტებს შეთავაზებულ ექნებათ 2 სემესტრის განმავლობაში;
- ▶ საგანი „ქართული მართლწერა“ ჩანაცვლდა საგნით „აკადემიური წერა“;
- ▶ ინგლისური ენის upper intermediate დონე სტუდენტებს შეთავაზებულ ექნებათ 2 სემესტრის განმავლობაში.
- ▶ სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად მოდიფიცირდა სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების სისტემა.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციების განხილვა-ანალიზის საფუძველზე ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“-ს სამართლის საბაკლავრო პროგრამა შესაბამისობაშია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

- **რეკომენდაციები**

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა-ანალიზის შედეგად რეკომენდაციების საჭიროება არ გამოკვეთილა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია, პროგრამის სილაბუსები დაიხვეწოს აკადემიური დარგობრივი ტერმინებით, სამართლებრივი სიცხადისა და სიზუსტის მიზნით; ამავდროულად, მიზანშეწონილია, სილაბუსების შინაარსი ასახავდეს საქართველოს ეროვნულ სამართალში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს; მიზანშეწონილია დინამიურად სილაბუსებში აისახოს უახლესი წყაროები/ლიტერატურა (ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვით).
- მიზანშეწონილია, სილაბუსების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან კორელაციისა და შესაბამისობის მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა.
- სასურველია, დროთა განმავლობაში, დინამიურად, სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები ან/და აქტივობები დაჯგუფდეს სწავლის შედეგების მიხედვით.

აღნიშნული რჩევების გაცნობის შემდეგ, უმაღლესმა სასწავლებელმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, რჩევები ნაწილობრივ არის გაზიარებული. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მათ პოზიციას და უცვლელად ტოვებს წარმოდგენილ რჩევებს.

- **საკუთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანია სტუდენტს

შესძინოს:

ფართო თეორიული ცოდნა სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;

ფუნდამენტური ცოდნა საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებების;

საერთაშორისო სამართლის სისტემის, ინსტიტუტებისა და პრინციპების ცოდნა.

გამომუშაოს:

სამართლის (კერძო, სისხლის და საჯარო) სფეროში წარმოშობილი კომპლექსური და გაუთვალისწინებელი საკითხების ანალიზისა და შეფასების, მათი გადაწყვეტის გზების მოძიების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების წერილობითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი, შესაბამისი საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით;

სამართლის ნორმების, სხვადასხვა სამართლებრივი წყაროების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, საქმის გარემოებებიდან რელევანტური ფაქტების დადგენის, მათი სამართლებრივი ანალიზის და არგუმენტაციის, პოზიციის დასაბუთების და შესაბამისი იურიდიული

| |
|---|
| <p>მოქმედებების განხორციელების უნარი;</p> <p>მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების, მათი პრაქტიკაში გამოყენების, დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და პრაქტიკის, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღევნების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;</p> <p>პროფესიული ეთიკის და ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.</p> <p>პროგრამით ჩამოყალიბებული მიზნები მიმართულია შესაბამისი კომპეტენციების მქონე თანამედროვე პროფესიონალის მომზადებისკენ.</p> <p>პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებშიც, კონკრეტული საგნის სწავლების ფარგლებში, დადგენილია მიზნები, რაც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო პროგრამა • სილაბუსები |
| <p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ▶ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ▶ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ▶ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრი აღწერს:

- A) სამართლის არსს, სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლის განმარტების მეთოდებს, სამართლის გამოყენებისა და შეფარდების პრინციპებს, ქართული სამართლის წყაროებსა და ინსტიტუტებს, ქართული სამართლის განვითარების ქრონოლოგიას, ძირითად თეორიებს, წესებს და რეგულირების თავისებურებებს სამართლის შემდეგ სფეროებში: სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ადამიანის უფლებების საკითხებსა და კონცეპტუალურ პრინციპებს, ამ უფლებების მოწესრიგების პოსტულატებს და დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ადმინისტრაციული და საჯარო მმართველობის ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს, პრინციპებსა და სტადიებს. საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და სისტემას, საერთაშორისო სამართლის წყაროებს და ინსტრუმენტებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის მიმართების საკითხებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს. კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილისთვის დამახასიათებელ ცნებებსა და კონცეფციებს, სანივთო სამართლის პრინციპებსა და ცნებებს, ვალდებულებითი სამართლის

ზოგად ნაწილს, ხელშეკრულებების ტიპებსა და კანონისმიერი ვალდებულებების პრინციპებს, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის ცნებებს, შრომის სამართლის ძირითადად პრინციპებსა და შრომის უფლების დაცვის ინსტრუმენტებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებს და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს და სტადიებს, სასამართლოში საქმის განხილვის მნიშვნელოვან ასპექტებს, სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს და გადაწყვეტის გზებს. სისხლის სამართლის სისტემას, პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს.

უნარი: ბაკალავრი:

B) აიდენტიფიცირებს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემას, სამართლის მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიმუშავებს გადაწყვეტის შესაბამის გზებს და აყალიბებს შესაბამის სამართლებრივ არგუმენტაციას წერილობითი და ზეპირი ფორმით; სამართლებრივი არგუმენტაციის პროცესში იყენებს ფორმალური ლოგიკის ძირითად პრინციპებს;

C) კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადასაწყვეტად ანალიზებს და აკავშირებს სამართლის სხვადასხვა სფეროში არსებულ ნორმებს წყაროებსა და მეთოდებს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასების შედეგად ასაბუთებს სამართლებრივ დავაში საკუთარ პოზიციას;

D) ადგენს სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს, კერძოდ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს, სამართალშეფასებით აქტებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საპროცესო დოკუმენტებს, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს, შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას, კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორების გათვალისწინებით;

E) მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, წინასწარგანსაზღვრული მითითების შესაბამისად შეიმუშავებს სამართლის სხვადასხვა სფეროში კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტს და საკუთარ მოსაზრებებს წარადგენს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილი ფორმით;

F) მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ

ენებზე, კერძოდ ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო სიახლეებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო ნაშრომებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემის, ეროვნული საკანონმდებლო სისტემების და სხვა მონაცემთა ბაზების მეშვეობით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: ბაკალავრი:

G) ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს და შეუძლია იურიდიული საქმიანობის განხორციელება ინდივიდუალური და გუნდური პრინციპების საფუძველზე;

H) ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების მნიშვნელობას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების შესაბამისად, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების საფუძველზე.

პროგრამას აქვს სულ 8 შედეგი, რომელიც დაჯგუფებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის კომპეტენციების შესაბამისად - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

სილაბუსებში წარმოდგენილია, საგნის სპეციფიკისათვის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები, რომლებიც ეხმიანება პროგრამის სწავლის შედეგებს, ამავდროულად, სილაბუსებში სწავლის შედეგებიც კლასიფიცირებულია სამი კომპეტენციის შესაბამისად - „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

ყურადღება მიიქცია საგნის შედეგებმა „ევროკავშირის სამართალი“. პროგრამის თანახმად საგანი გადის სწავლის C შედეგზე (*„კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადასაწყვეტად ანალიზებს და აკავშირებს სამართლის სხვადასხვა სფეროში არსებულ ნორმებს წყაროებსა და მეთოდებს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასების შედეგად ასაბუთებს სამართლებრივ დავაში საკუთარ პოზიციას“*). C შედეგი განთავსებულია „უნარის“ კომპეტენციის ქვეშ. საგნის სილაბუსის თანახმად, „უნარი“ს ნაწილში აღნიშნულია შემდეგი სწავლის შედეგები: „- ახდენს ევროკავშირის სამართლის ზოგადი პრინციპების შედარებითი ანალიზს; - ამოიცნობს ევროკავშირის სამართლის სფეროში არსებულ ძირითად პრობლემეტიკას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით; - აყალიბებს

| |
|---|
| <p>არგუმენტირებულ დასკვნებს ევროკავშირის როგორცსაჯარო, ასევე კერძო სამართლის დებულებებთან მიმართებითკრიტიკული ანალიზის და მსჯულობის საფუძველზე დაყრდნობით; - აპირისპირებს და ერთმანეთისაგან მიჯნავს ევროკავშირის სამართლის წყაროებს.“ბუნდოვანია და არ არის ნათელი, როგორ გადის საგანი მასში აღნიშნული სწავლის შედეგების გათვალისწინებით პროგრამის სწავლის C შედეგზე.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო პროგრამა • სილაბუსები |
| <p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>მიზანშეწონილია, სილაბუსების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან კორელაციისა და შესაბამისობის მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა.</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ |
| <p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობა შია მოთხოვნებით ან | მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებით ან | ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებით ან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებით ან |
|---|---------------------------------|--|--|---------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე და უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვის შესაძლებლობა, კერძოდ: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში; გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე

სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

წარმოდგენილი პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტრუქტურულად და შინაარსობრივად პროგრამა ჩამოყალიბებულია მოდულების სახით, შეიცავს სავალდებულო და არჩევით/თავისუფალ კომპონენტებს და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად ითვალისწინებს 240 ECTS - კრედიტის პროგრამაში დადგენილი წესებით დაგროვებას. კერძოდ, 240 კრედიტიდან სტუდენტმა სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე უნდა დააგროვოს 145 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე 39 კრედიტი (წარმოდგენილი კრედიტების ჯამი მოიცავს, როგორც სპეციალობის არჩევით (34 კრედიტი), ასევე სპეციალობის სავალდებულო არჩევით საგნებს 20 კრედიტის მოცულობით, საიდანაც სტუდენტი ირჩევს 5 კრედიტს, რადგან პროგრამის მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია პროგრამით გათვალისწინებული 4 რეპეტიტორიუმიდან (სამოქალაქო სამართლის რეპეტიტორიუმი, სისხლის სამართლის რეპეტიტორიუმი, საჯარო (კონსტიტუციური) სამართლის რეპეტიტორიუმი, ადმინისტრაციული სამართლის რეპეტიტორიუმი) ერთ-ერთი აირჩიოს სავალდებულო საგნად მისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე. შესაბამისად, ჯამურად სტუდენტი ირჩევს 39 დარგობრივ კრედიტს), ხოლო თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე 56 კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურული ნაწილი ითვალისწინებს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიმართ მასზე დაშვების წინაპირობას (ასეთის არსებობის ან საჭიროების შემთხვევაში), ასევე სასწავლო კომპონენტების სილაბუსები შეიცავენ ინფორმაციას წინაპირობების შესახებ. სასწავლო კურსების შინაარსიდან ირკვევა, რომ წინაპირობები გამომდინარეობს მათი ურთიერთგანპირობებიდან და მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან. შესაბამისად, პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, რაც უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატურობას.

თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი შეესაბამება დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის სწავლებისა და სწავლის მეთოდები ადეკვატურია დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

პროგრამაში ინტეგრირებული რუკები ნათლად წარმოაჩენს თითოეული მიზნის, შედეგის, სასწავლო კომპონენტის სიღრმის გათვალისწინებით მიღწევის შესაძლებლობას.

| |
|---|
| <p>მთლიანობაში, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, მოდულები, მათი მოცულობა, თანმიმდევრობა, ბალანსი და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> სამართლის საბაკალავრო პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით |
| <p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| <p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| <p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების |
|---|

- რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ▶ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგება 68 საგნისაგან, რომელთაგანაც 40 სავალდებულო საგანია, ხოლო 28 არჩევითი. საგნები დაჯგუფებულია შემდეგნაირად: სავალდებულო ზოგადი საგნები, უცხო ენის კომპონენტი, სპეციალობის სავალდებულო საგნები, სპეციალობის სავალდებულო არჩევითი საგნები და სპეციალობის არჩევითი საგნები.

სასწავლო საგნის სილაბუსების შინაარსი და მათში მითითებული მასალა ეხმიანება სამართლებრივი ცვლილებების დინამიკას, წყაროთა განახლების პრინციპს. თუცა დარგობრივი ტერმინოლოგიური სიზუსტისა და სამართლებრივი აკადემიურობის კონტექსტში, საყურადღებოა რამდენიმე სილაბუსი, კერძოდ:

- საგანი „საკანონმდებლო ტექნიკა“: სამწუხაროდ სილაბუსში მრავალჯერადად დარღვეულია ნორმატიული აქტის იერარქიული სტატუსი, კერძოდ, ლექტორი უთითებს შემდეგს: საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ. ეს შეცდომაა. სწორია: საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.
- საგანი „საკანონმდებლო ტექნიკა“: 2018 წლიდან ნორმატიული აქტების შესახებ ორგანული კანონით დაინერგა ახალი, არსებითად მნიშვნელოვანი და ინოვაციური ინსტრუმენტები კანონშემოქმედებით და საკანონმდებლო საქმიანობაში, კერძოდ, ა) რეგულირების ზეგავლენის შეფასება; ბ) ასოცირების შეთანხმებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით „შესაბამისობის ცხრილი“. ეს ასპექტები არ ფიგურირებს სილაბუსის შინაარსში.
- საგანი „ევროკავშირის სამართალი“. სილაბუსში მითითებულია ტერმინი „ევროკავშირის სასამართლო“. სწორი და ზუსტი ტერმინია „ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო“ (CJEU, https://curia.europa.eu/jcms/jcms/j_6/en/). სილაბუსში მითითებულია ტერმინი ევროკავშირის ცენტრალური ბანკი. სწორი და ზუსტი ტერმინია „ევროპული ცენტრალური ბანკი“ (ECB, <https://www.ecb.europa.eu/home/html/index.en.html>).
- საგანი „სამოხელეო სამართალი“: სილაბუსში, ლიტერატურის სახით არ არის წარმოდგენილი უახლესი და მნიშვნელოვანი წყარო,

| |
|---|
| <p>როგორცაა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები</p> <p>(http://www.csb.gov.ge/media/3016/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf)</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის საბაკალავრო პროგრამა • სილაბუსები |
| <p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>მიზანშეწონილია, პროგრამის სილაბუსები დაიხვეწოს აკადემიური დარგობრივი ტერმინებით, სამართლებრივი სიცხადისა და სიზუსტის მიზნით; ამავდროულად, მიზანშეწონილია, სილაბუსების შინაარსი ასახავდეს საქართველოს ეროვნულ სამართალში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს; მიზანშეწონილია დინამიურად სილაბუსებში აისახოს უახლესი წყაროები/ლიტერატურა (ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვით).</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ |
| <p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| |
|--|

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული მიმართულების განვითარებისა და გაძლიერების ასპექტებს, კერძოდ, სილაბუსებში ინტეგრირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული შეფასების მეთოდები და აქტივობები, ამასთან, არჩევითი ალტერნატივით წარმოდგენილია სასწავლო პრაქტიკა ან საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობა. ამასთან, პროგრამაში ნაჩვენებია საგნები, რომლებიც შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს (აღმნიშვნელით "P" ან კომბინაციით IP, DP, PM), რაც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეების განმსაზღვრელია.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ არ არის მოწოდებული ინფორმაცია სტუდენტთა სხვა პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით არსებულ მდგომარეობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

